



დამტკიცებულია
2019 წლის 6 აგვისტოს
საქართველოს მთავრობის
№ 378 დადგენილებით

დანართი №8

ელექტრონული სისტემების, კომპიუტერული პროგრამებისა და აპლიკაციების სამსახურის სერვერულ ინფრასტრუქტურაზე განთავსების მიზნით, შესაბამისი გამოთვლითი რესურსების (vcpu, RAM, HDD) მიწოდების მომსახურების პირობები და საფასურის ოდენობები:

მუხლი 1. ელექტრონული სისტემების, კომპიუტერული პროგრამებისა და აპლიკაციების სამსახურის სერვერულ ინფრასტრუქტურაზე განთავსების მიზნით, შესაბამისი გამოთვლითი რესურსების (vcpu, RAM, HDD) მიწოდების მომსახურების საფასურის ოდენობები:

N	რესურსი	ოდენობა	ყოველდღიური საფასური (ლარი დღგ-ს ჩათვლით)
1	სერვერული ბირთვი (Server cores)	1 vcpu	2.26
2	ოპერატიული მეხსიერება (memory)	1 GB RAM	0.82
3	მყარი დისკი (storage)	1 GB HDD	0.048

მუხლი 2. ელექტრონული სისტემების, ვებ-გვერდების, კომპიუტერული პროგრამებისა და აპლიკაციების სამსახურის სერვერულ ინფრასტრუქტურაზე განთავსების მიზნით, შესაბამისი გამოთვლითი რესურსების (vcpu, RAM, HDD) მიწოდების მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (შემდგომში - „სამსახური“) შემსყიდველ ორგანიზაციებს მათი სისტემების განთავსების მიზნით საკუთარ სერვერულ ინფრასტრუქტურაზე გამოუყოფს ისეთ რესურს როგორცაა: ვირტუალური პროცესორი (CPU Core (vcpu)), ოპერატიული მეხსიერება mamory (RAM), მყარი დისკის მოცულობა storage (HDD). სამსახურსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის კავშირი ხორციელდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომლის კონფიგურაციის უზრუნველყოფა ხორციელდება 1 (ერთი) საათის ვადაში. შემსყიდველი ორგანიზაცია უზრუნველყოფილი იქნება მისი აპლიკაციის სერვერის განთავსებით სამსახურის მონაცემთა სანახის სისტემაში, მომხმარებლის მონაცემთა კონფიდენციალობა დაცულია სტანდარტული პროცედურებით.

აღნიშნული მომსახურება არ მოიცავს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სამსახურის სერვერულ ინფრასტრუქტურაზე განთავსებული შემსყიდველი ორგანიზაციის სერვერების,





მონაცემთა შენახვის სისტემების, ვებ-გვერდების ან/და ქსელური აპარატურის ადმინისტრირებას.

მუხლი 3. ელექტრონული სისტემების, კომპიუტერული პროგრამებისა და აპლიკაციების სამსახურის სერვერულ ინფრასტრუქტურაზე განთავსების მიზნით, შესაბამისი გამოთვლითი რესურსების (vcpu, RAM, HDD) მიწოდების მომსახურების პირობები:

1. ორგანიზაცია, რომელიც გადაწყვეტს შეისყიდოს სამსახურიდან ელექტრონული სისტემების, კომპიუტერული პროგრამებისა და აპლიკაციების სამსახურის სერვერულ ინფრასტრუქტურაზე განთავსების მიზნით, შესაბამისი გამოთვლითი რესურსების (vcpu, RAM, HDD) მიწოდების მომსახურება (შემდგომში - „შემსყიდველი ორგანიზაცია“), ვალდებულია შესყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნა წარუდგინოს სამსახურს წერილობით.

2. წინამდებარე დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას, კერძოდ:

ა) მომსახურების გაწევის ვადას/პერიოდს;

ბ) საკონტაქტო ელექტრონულ ფოსტის მისამართს.

3. სამსახური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით უგზავნის შემსყიდველ ორგანიზაციას შეტყობინებას წინამდებარე დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე და აღნიშნული შეტყობინების მიღების შემდგომ სამსახური ახორციელებს მომსახურებას გაწევას.

4. სამსახური ყოველი მომდევნო თვის დასაწყისიდან - 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, წინამდებარე დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე შემსყიდველ ორგანიზაციას უგზავნის ინფორმაციას გასულ თვეში გაწეული მომსახურების დროს, მის მიერ გამოყენებული რესურსების და აღნიშნულ თვეში მომსახურების საფასურის თაობაზე.

5. მომსახურების მიღება ხორციელდება შემსყიდველ ორგანიზაციასა და სამსახურს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე რომელიც ფორმდება ყოველთვიურად, ყოველი მომდევნო თვის დასაწყისიდან - 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან ან/და ყოველი მომდევნო თვის დასაწყისიდან - 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

